

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი

სადისერტაციო საბჭოს დებულება

აკადემიური საბჭოს 2007 წლის 30 აპრილის დადგენილება № 5

(ცვლილებები 09.08.2008 №27, 21.12.2008 №40, 22.01.2010 №196,

16.04.2010 №238, 04.06.2010 №264)

1. დანიშნულება, მიზნები

უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის დანიშნულებასა და მიზნებს განსაზღვრავს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ.”

2. სადისერტაციო საბჭო

2.1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. რომელიც შექმნილია სტუ-ს ფაკულტეტზე.

2.2. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან.

2.3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.

2.4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით საინიციატივო ჯგუფის (არანაკლებ ხუთი წევრი) მიერ ერთი ან რამდენიმე კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

2.5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, მისი თავმჯდომარის დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია აირჩიოს თავმჯდომარის მოადგილე.

თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

2.6. სადისერტაციო საბჭოს მდივნის კანდიდატურას (საბჭოს შემადგენლობიდან) წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ინიშნება 3 წლის ვადით და შეიძლება დანიშნული იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2.7. სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების მიხედვით.

2.8. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 3/4-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3-ზე მეტი.

2.9. საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

2.10. სადოქტორო დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციას განსაზღვრავს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

3.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში. სხდომის მოწვევა შეუძლია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

3.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობენ საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში და მდივანი.

3.3. მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე (მოადგილე) უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

3.4. საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს შემადგენლობიდან ნიშნავს სადისერტაციო კოლეგიებს.

3.5. საბჭოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის სავალდებულო თემატური სემინარების ორგანიზებას.

3.6. საბჭოსა და თავმჯდომარის ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორატს წერილობით უნდა ეცნობოს.

3.7.წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

4. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილება

4.1. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას.

4.2. აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას.

4.3. უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას საინფორმაციო ვებგვერდზე.

5. დოქტორანტურაში ჩარიცხვა (22.01.2010 №196)

5.1. დოქტორანტურაში მისაღებად სადისერტაციო თემების წარმოდგენის და დამტკიცების, დოქტორანტობის კანდიდატების განცხადებების შემოტანის და ჩარიცხვის ვადებს ადგენს აკადემიური საბჭო სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით; ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს რექტორის ბრძანებით სწავლის დაწყებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე;

5.2. ფაკულტეტის თითოეულ სრულ პროფესორს, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, უფლება აქვს დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოში წარადგინოს ერთი ან რამდენიმე სადისერტაციო თემის დასახელება და შესაბამისი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უნდა მოკლედ იყოს ასახული თემის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები, აგრეთვე ინფორმაცია თემის შესრულების სამეცნიერო, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას თან უნდა ერთვოდეს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულების შესაბამისი სპეცურსების სილაბუსები, რომლებშიც უნდა იყოს ასახული მათი ჩატარების ვადები;

5.3. სადოქტორო პროგრამაზე შეიძლება იყოს იმდენი დოქტორანტი, რამდენსაც მიზანშეწონილად ჩათვლის შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი;

5.4. სრული პროფესორი, როგორც წესი, ერთდროულად შეიძლება იყოს არა უმეტეს 4 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის არა უმეტეს 2 დოქტორანტისა სწავლების ერთ წელზე;

5.5. მიმართულების ხელმძღვანელის მოტივირებული შუამდგომლობით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ, როგორც წესი, ერთი სადისერტაციო თემის წარმოდგენის და, შესაბამისად, მოცემულ სასწავლო წელს დოქტორანტის აყვანის ნება შეიძლება დართოს ასოცირებულ პროფესორს;

5.6. მიმართულების ხელმძღვანელის მოტივირებული შუამდგომლობით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ შეიძლება ერთ სადისერტაციო თემაზე დაამტკიცოს ორი სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს მე-14 მუხლის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულება;

5.7. სადისერტაციო თემების აღრიცხვა-რეგისტრაციას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანატი, ხოლო შემდეგ მათ ნუსხას იხილავს და ღია კენჭისყრით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო;

5.8. სადისერტაციო თემების რეგისტრაციის ვადების ამოწურვიდან სამ სამუშაო დღეში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სწავლების დეპარტამენტში წარადგენს სადისერტაციო საბჭოზე დამტკიცებულ სადისერტაციო თემების ნუსხას და დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების შემსწავლელი საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების (შემდგომში - საფაკულტეტო დროებითი კომისია) შემადგენლობას;

5.9. საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის არანაკლებ 4 სრული/ასოცირებული პროფესორი, რომლებიც არ არიან სადისერტაციო თემების სამეცნიერო ხელმძღვანელები და საფაკულტეტო დროებით კომისიაში მონაწილეობის შესახებ თავიანთი თანხმობა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს წერილობით უნდა დაუდასტურონ; საფაკულტეტო დროებით კომისიას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; მასზე არ ვრცელდება შეზღუდვა სადისერტაციო თემების სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესახებ;

5.10. სწავლების დეპარტამენტი სადისერტაციო თემებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

5.11. აკადემიური საბჭო განიხილავს და ამტკიცებს წარმოდგენილ სადისერტაციო თემებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობებს; დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების, სადისერტაციო თემების და სამეცნიერო ხელმძღვანელების ნუსხა სტუ-ს ვებგვერდზე განთავსდება სწავლების დეპარტამენტის მიერ;

5.12. დოქტორანტურაში ჩარიცხვის და სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

5.13. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის დოქტორანტობის კანდიდატის მონაცემების 5.14 ან 5.15 პუნქტებთან შესაბამისობა, სადისერტაციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია. აგრეთვე მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა

საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.);

5.14. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველის სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო და სადოქტორო პროგრამები, როგორც წესი, უნდა მიეკუთვნებოდეს მეცნიერების ერთ დარგს; შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინებით;

5.15. გავლილი სამაგისტრო პროგრამისაგან განსხვავებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ უნდა ჰქონდეს უშუალოდ სადოქტორო პროგრამის მიმართულებით სამეცნიერო ან/და პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი, რომლის შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია;

5.16. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა სტუ-ს რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს:

5.16.1. განცხადება ფაკულტეტის, სადოქტორო პროგრამის, სადისერტაციო თემის და სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით;

5.16.2. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ;

5.16.3. სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და მისი ასლი;

5.16.4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;

- 5.16.5. სადოქტორო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელ-მძღვანელების რეკომენდაცია;
- 5.16.6. 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ);
- 5.16.7. მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულებისათვის).
- 5.17. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში სამეცნიერო პუბლიკაციების და კონფერენციებში მონაწილეობის მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აგრეთვე აღნიშნული მასალების დედნები და მათი ასლები. საბუთების მიღების შემდეგ დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ასლები კი რჩება პირად საქმეში;
- 5.18. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველებს საბუთები შეაქვთ სტუ-ს კანცელარიაში. რექტორის რეზოლუციით საბუთები გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოებს;
- 5.19. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ვადების ამოწურვამდე ორი კვირით ადრე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უბრუნველყოფს საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომების ჩატარებას და დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატების (შემდგომში - კანდიდატი) მონაცემთა განხილვის შედეგების წარდგენას სწავლების დეპარტამენტში;
- 5.20. საფაკულტეტო დროებითი კომისიის მიერ დოქტორანტურაში ჩასარიცხი კანდიდატებისათვის რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის წესს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო;
- 5.21. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმში დოქტორანტურაში ჩასარიცხ თითოეულ კანდიდატზე უნდა მიეთითოს:
- 5.21.1. გვარი, სახელი, მამის სახელი,
- 5.21.2. დაბადების თარიღი,
- 5.21.3. განათლება,

- 5.21.4. მონაცემები კვლევითი საქმიანობის შესახებ,
- 5.21.5. სადოქტორო პროგრამის დასახელება,
- 5.21.6. სადისერტაციო თემის დასახელება,
- 5.21.7. თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) აკადემიური თანამდებობა, გვარი და სახელი,
- 5.21.8. დასაბუთებული გადაწყვეტილება კანდიდატის დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ.
- 5.22. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმს (ოქმებს) ხელს აწერს საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და წევრები;
- 5.23. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით ბარათთან ერთად (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს), აგრეთვე დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატების საბუთების ასლები წარედგინება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტს, რომელიც 5.1 პუნქტით მითითებულ ვადებში უზრუნველყოფს მათ შემოწმებას და დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადებას, ხოლო ბრძანების გამოცემის შემდეგ მის განთავსებას სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე;
- 5.24. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა სტუ-სთან უნდა გააფორმოს საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულება და მომდევნო ერთი კვირის ვადაში გადაიხადოს სწავლების წლიური ღირებულების მინიმუმ ნახევარი, ხოლო დარჩენილი თანხა - შემდეგი სემესტრის დაწყებამდე;
- 5.25. დოქტორანტი ვალდებულია ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხადოს სწავლების წლიური ღირებულების მინიმუმ ნახევარი, ხოლო დარჩენილი თანხა - შემდეგი სემესტრის დაწყებამდე.

6. დოქტორანტურაში სწავლა (22.01.2010 №196)

6.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის 180 კრედიტი, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, სემესტრში - 30 კრედიტი; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა შესაბამისი კრედიტებით წარმოდგენილია დანართში;

6.2. 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, რაც მოიცავს:

6.2.1. სპეცკურსებს - 30 კრედიტი, მათ შორის:

- სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულების შესაბამის სპეცკურსს - 15 კრედიტი,
- ერთ-ერთი უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან ესპანური) ენის სპეცკურსს - 15 კრედიტი,

6.2.2. ორ თემატურ სემინარს - 30 (15+15) კრედიტი.

6.3. 120 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, რაც მოიცავს:

6.3.1. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, თემის აქტუალურობის დასაბუთებას, გადასაჭრელი ამოცანების ჩამოყალიბებას - 15 კრედიტი;

6.3.2. თეორიულ და/ან ექსპერიმენტულ კვლევას - 105 კრედიტი;

6.4. დოქტორანტი ვალდებულია:

6.4.1. გამოაქვეყნოს სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია და მიიღოს მონაწილეობა (პირადად გააკეთოს მოხსენება) ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მაინც; სტატიებში ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები,

6.4.2. გააფორმოს დისერტაცია,

6.4.3. დაიცვას დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე;

6.5. დოქტორანტურაში ჩარიცხული პირი, სწავლის დაწყებამდე უცხოური ენის სათანადო დონეზე ფლობის შესახებ მოტივირებული განაცხადის

წარმოდგენისას, რექტორის ნებართვით შეიძლება დაშვებულ იქნეს გამოცდებზე არსებული წესის თანახმად (16.04.2010 № 238);

6.6. სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული უნდა იქნეს საერთაშორისო მიმოქცევაში არსებულ უცხოეთის რეიტინგულ გამოცემებში, სადისერტაციო საბჭოების მიერ რეკომენდებულ და სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ ამ მიზნით აღიარებულ გამოცემებში, ან ისეთ დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც გავრცელებულია საერთაშორისო მასშტაბით და რეფერირებულია ერთ-ერთ საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში; ნაშრომები გამოცემული უნდა იყოს გამოცემათა სულ მცირე ორ ერთეულში;

6.7. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ:

- დაბეჭდილია ჟურნალის შესაბამისი ტომი,
- ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

6.8. დოქტორანტი სემინარებს ატარებს წინასწარ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდებში;

6.9. დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების შესრულებული რაოდენობა, სასწავლო კურსების ანალოგიურად, ყოველ სასწავლო სემესტრში დასტურდება თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად;

6.10. დოქტორანტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას დეკანატი აცნობებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც სამეცნიერო ხელმძღვანელთან და მიმართულების ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციას დოქტორანტის მიერ სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ;

- 6.11. დოქტორანტის დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება შეიცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი. აგრეთვე, ხელმძღვანელის ასეთივე მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც;
- 6.12. 6.11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც ძველი და ახალი ხელმძღვანელების თანხმობისას არ იცვლება სადისერტაციო თემა, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი წარედგინება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტს, რომელიც უზრუნველყოფს ბრძანების გამოცემას;
- 6.13. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა.
- 6.14. სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლისას გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო;
- 6.15. დოქტორანტისთვის სადოქტორო პროგრამის შეცვლა განიხილება, როგორც შიდა მობილობა;
- 6.16. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი (დისერტაცია) უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით. სადისერტაციო საბჭოს ნებართვით დასაშვებია მისი სხვა ენაზე შესრულება;
- 6.17. სადოქტორო დისერტაცია უნდა იყოს დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მოიცავდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ თეორიულ ან ექსპერიმენტულ შედეგებს, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების შესაბამისი დარგებისათვის;
- 6.18. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალებისა და დოკუმენტაციის გაყალბების ფაქტის/ფაქტების დადგენის შემთხვევაში, წყდება დისერტაციის განხილვა და პლაგიატორს დისერტაციის წარდგენა

მოცემულ და მომიჯნავე დარგებში ეკრძალება სამუდამოდ, ხოლო სხვა დარგებში - 5 წლით;

6.19. პლაგიატორისა და გამყალბებლის სამეცნიერო ხელმძღვანელს 5 წლით ეკრძალება სადისერტაციო თემის წარმოდგენა და სადისერტაციო კოლეგიების წევრობა; თუ აღნიშნულ პიროვნებას ჰყავს სხვა დოქტორანტი, სადისერტაციო საბჭო შეისწავლის საკითხს ამ დოქტორანტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის მიზანშეწონილობის შესახებ; ნებისმიერ შემთხვევაში საკითხი შესასწავლად გადაეცემა ფაკულტეტის ეთიკის კომისიას; გარდა ამისა, 5 წლის განმავლობაში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობისას შესაბამისი ინფორმაცია გადაეგზავნება საკონკურსო კომისიას;

6.20. თუ პლაგიატი ან დისერტაციის დოკუმენტაციის გაყალბება დადგინდა დისერტაციის დაცვის შემდეგ (ნებისმიერ დროს), სადისერტაციო საბჭო ვალდებულია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი;

6.21. სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ საბუთების გაყალბებისას, მის მიმართ მიიღება კანონით გათვალისწინებული ზომები;

6.22. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სათანადო სასწავლო ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის აუთენტიზაციისთვის დოქტორანტს არსებული წესის თანახმად, აქვს უფლება, გააგრძელოს დოქტორანტურაში სწავლა ერთი დამატებითი წლის ან სემესტრის განმავლობაში, რისთვისაც მან მითითებული პროგრამის დასრულებისთანავე განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს და დადებითი გადაწყვეტილების გამოტანისა და შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში უნდა გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულება არსებული წესის თანახმად;

6.23. დამატებითი წლის/სემესტრის განმავლობაში დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.

7. თემატური სემინარი (22.01.2010 №196)

7.1. დოქტორანტურაში სწავლების მეორე წლიდან დოქტორანტი ამზადებს ორ თემატურ სასემინარო ნაშრომს და იცავს სემინარზე. დოქტორანტის შეფასებას ახდენს კომისია, რომელიც შედგება მიმართულების აკადემიური პერსონალისაგან და მოწვეული პროფესორებისაგან, დეკანატის და აკადემიური დეპარტამენტის წარმომადგენლებისაგან, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან შერჩეული პირისაგან;

7.2. თემატური სემინარის ჩატარების ფორმას და შეფასების წესს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო დეკანატთან შეთანხმებით; შეფასება ხდება 12.2 პუნქტის შესაბამისად;

7.7. ფაკულტეტის ყველა დოქტორანტის სემინარის ჩატარების თარიღი, სასწავლო კორპუსი და აუდიტორიის ნომერი უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე სემინარის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე და მასზე დასწრება უნდა შეეძლოს ნებისმიერ მსურველს;

7.8. თემატური სასემინარო ნაშრომის თემას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, აზუსტებს თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი მიმართულების ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო;

7.9. პირველი სემინარი უნდა ეხებოდეს სადისერტაციო თემის აქტუალობას, მოსალოდნელ თეორიულ ან/და პრაქტიკულ ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხს; დასაშვებია მოიცავდეს ამ ეტაპზე კვლევის შედეგებსაც.

სემინარის მიზანია: დოქტორანტმა წარმოაჩინოს საკვლევი პრობლემის აქტუალობა, სამეცნიერო სიახლე, კვლევის მეთოდები, თანამედროვე მიღწევები ამ მიმართულებით, განვითარების პერსპექტივები და ა.შ.

7.10. მეორე სემინარზე დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს ჩატარებული კვლევის შედეგები მოცემულ ეტაპზე;

სემინარის მიზანია: დოქტორანტმა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოადგინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს შესრულებული პუბლიკაციების ანალიზი;

8. დისერტაციის წარდგენა (22.01.2010 №196)

8.1. დასრულებული დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს განსახილველად გადაეცემა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორი და არაუმეტეს სამი თვით ადრე;

8.2. დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:

- განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
- დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი, ქართულ ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 10 ეგზემპლარი და მისი ელექტონული ვერსია (PDF ფორმატში);
- დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა დისერტაციის შესახებ;
- სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები ამსახველი და 6.6 და 6.7 პუნქტების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები, გამოგონების/გამოგონებების

(არსებობის შემთხვევაში) დამადას-ტურებელი ოფიციალური დოკუმენტი/დოკუმენტები და აგრეთვე მათი სია;

- სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი შეფასებების (ნიშნების) ფურცელი;
- დეკანის მიერ დამოწმებული ოქმების ასლები ორი სემინარის ჩატარების შესახებ;

8.3. ავტორეფერატი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებულ ვარიანტს და იგი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს გაეცნოს ნაშრომის ძირითად შედეგებს;

8.4. ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს. მასში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, აგრეთვე ინფორმაცია დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ; ავტორეფერატში გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები;

8.5. ავტორეფერატში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ავტორის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ ნაშრომების, აგრეთვე პატენტების და საავტორო მოწმობების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში;

8.6. ავტორეფერატი აგრეთვე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის შესახებ (როგორცაა მოხსენებები კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე);

8.7. ავტორეფერატის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ ნაბეჭდ თაბახს;

8.8. ავტორეფერატი უნდა შესრულდეს დადგენილი ფორმის მიხედვით.

8.9. დოქტორანტს, რომელიც დააგროვებს 180 კრედიტს და დისერტაციას წარადგენს საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის ბოლომდე, მაგრამ 8.1 პუნქტით განსაზღვრული დროის შუალედის შემდეგ,

გაუგრძელდება სტუდენტის სტატუსი სადისერტაციო საბჭოს მიერ დაცვისთვის განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით. (04.06.2010 №264)

8.10. დოქტორანტს, რომელიც დააგროვებს 180 კრედიტს, მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ან, დამატებითი სემესტრების განმავლობაში სწავლის გაგრძელებისას, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის 5.7 პუნქტით მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არ წარადგენს დისერტაციას დასაცავად, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. (04.06.2010 №264)

8.11. 8.10 პუნქტში მითითებულ სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, დისერტაციის დაცვის მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს; 7.1 პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისია, საჯარო განხილვის გზით, შეაფასებს სადისერტაციო თემის აქტუალობას და მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებას. განხილვის შედეგად კომისიამ შეიძლება განსაზღვროს დამატებით დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა და, შესაბამისად, დისერტაციის დასაცავად წარდგენის ბოლო ვადა. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს დისერტაციის დასაცავად მხოლოდ ერთხელ შეიძლება აღუდგეს სტუდენტის სტატუსი. (04.06.2010 №264)

9. დისერტაციის დაცვის თარიღის, კოლეგიის შემადგენლობის და რეცენზენტების დამტკიცება (22.01.2010 №196)

9.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მდივანი ერთი კვირის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას და, თუ იგი წესრიგშია, განსახილველად გადასცემს სადისერტაციო საბჭოს, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით მიიღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის

დაცვაზე დაშვების ან დაცვაზე უარის შესახებ; დადებითი გადაწყვეტილებისას ინიშნება დისერტაციის დაცვის თარიღი, მტკიცდება სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა (მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარის კანდიდატურა) და ორი რეცენზენტი. კოლეგიის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ს აკადემიური პერსონალი;

9.2. დისერტაციის დაცვა ინიშნება სადისერტაციო საბჭოს სხდომიდან 40-50 დღეში;

9.3. რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 შრომისა. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი, დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი; ფაკულტეტის იმ მიმართულების წევრი, სადაც შესრულდა დისერტაცია ან/და მუშაობს დისერტანტი; არ უნდა იყოს დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;

9.4. დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის (მაგ. ფაკულტეტის) თანამშრომელი;

9.5. სადისერტაციო საბჭოს მდივანი 1 კვირის ვადაში უზრუნველყოფს დისერტაციის ეგზემპლარების გადაცემას სტუ-ს ბიბლიოთეკისა და რეცენზენტებისათვის, აგრეთვე დისერტაციის ავტორეფერატის განთავსებას სტუ-ს ვებ გვერდზე და მათ გადაცემას რეცენზენტებისა და სადისერტაციო კოლეგიის წევრებისათვის; აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, დოქტორანტი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს ავტორეფერატების დამატებითი ეგზემპლარები;

9.6. რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა (რეცენზია) ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ დისერტაციის გადაცემიდან სამი კვირის ვადაში;

9.7. რეცენზიაში უნდა აისახოს: სადოქტორო თემის აქტუალურობა, კვლევის მეცნიერული დონე, გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია) მიღებული შედეგების სანდოობა, დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ. რეცენზია უნდა მთავრდებოდეს რეცენზენტის დასკვნით - იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

9.8. რეცენზენტის ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს იმ ორგანიზაციის ბეჭდით, რომელშიც მუშაობს რეცენზენტი;

9.9. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე რეცენზენტის მიერ რეცენზიის წარმოდგენა შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), სათანადო ცნობების ან მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო ნიშნავს მესამე რეცენზენტს;

9.10. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა დოქტორანტს უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;

9.11. დაცვამდე, სულ ცოტა ოცი დღით ადრე, გამოიცემა სტუ-ს რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ; მასში მითითებული უნდა იყოს დისერტაციის დასახელება, მისი ავტორი, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა, რეცენზენტების ვინაობა, დისერტაციის დაცვის თარიღი, დრო და ადგილი; აღნიშნული აქტის საფუძველზე სადისერტაციო საბჭო ავრცელებს ინფორმაციას წერილობითი შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, აგრეთვე უზრუნველყოფს განცხადების გამოკვრას თვალსაჩინო ადგილზე (ადგილებზე);

9.12. დაცვამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე რეცენზიების თითო პირი გადაეცემა დოქტორანტს;

9.13. დოქტორანტს უფლება აქვს ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც მოითხოვოს დაცვის მოწყობა; ასევე უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი ნებისმიერ ეტაპზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მე-8 მუხლის შესაბამისად დისერტაციის წარდგენა შეიძლება შემდეგ წელს;

9.14. სადისერტაციო საბჭოსათვის დოქტორანტის დასაცავად დაშვებაზე უარის საფუძველი შეიძლება იყოს:

9.14.1. დოკუმენტების არასრულყოფილება,

9.14.2. პლაგიატის არსებობა,

9.14.3. დოკუმენტების გაყალბება,

9.14.4. კრედიტების შეუსრულებლობა,

9.15. დასაცავად დაშვებაზე უარის შემთხვევაში, დისერტაცია და მასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტაციას;;

9.16. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიღებული გადაწყვეტილებები ოქმის სახით ერთი კვირის ვადაში უნდა გადასცეს დეკანატს სტუდენტის პირად საქმეში შესატანად.

10. სადისერტაციო კოლეგია (22.01.2010 №196)

10.1. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის;

10.2. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს ორზე მეტ დაცვაში ერთი კვირის განმავლობაში;

10.3. სადისერტაციო კოლეგია უნდა შედგებოდეს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 6-10 წარმომადგენლისაგან, მათ შორის 20-40% არ უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი;

10.4. კოლეგიაში უნდა შევიდნენ თემის ხელმძღვანელი და რეცენზენტები.

11. დისერტაციის დაცვა (22.01.2010 №196)

11.1. დისერტაციის დაცვა ხორციელდება სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე;

11.2. სადისერტაციო კოლეგიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კოლეგიის წევრთა 3/4 და მეტი;

11.3. კვორუმის არსებობის დადგენის შემდეგ, სადისერტაციო კოლეგია ირჩევს მდივანს; კოლეგიის მდივანი უნდა იყოს სტუ-ს აკადემიური პერსონალი

11.4. დაცვას საპატიო მიზეზით შეიძლება არ ესწრებოდეს ერთ-ერთი რეცენზენტი, რომლის რეცენზია დადებითია; ამ შემთხვევაში რეცენზია მთლიანად უნდა იქნას წაკითხული დაცვის მსვლელობისას;

11.5. დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი; თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება, კოლეგიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას;

11.6. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო კოლეგიის კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაინიშნება დამატებითი დაცვა იმავე სემესტრში;

11.7. კოლეგიის სხდომაზე სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კოლეგიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს;

11.8. კოლეგიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კოლეგიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს;

11.9. დოქტორანტი უპასუხებს დამწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე კოლეგიას გააცნობს დისერტაციის წინასწარი განხილვის შედეგებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელებს დოქტორანტის პიროვნული დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კოლეგიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს;

11.10. დოქტორანტის და რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე კოლეგიის წევრებისა და სხვათა გამოსვლების ხანგრძლივობას განსაზღვრავს სადისერტაციო კოლეგია;

11.11. დისერტაციის დაცვის დროს დისერტანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.

12. შეფასება (22.01.2010 №196)

12.1. ნაშრომი ფასდება სადისერტაციო კოლეგიის მიერ დახურულ სხდომაზე დაცვის დამთავრებისთანავე;

12.2. შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება;

- დადებითი შეფასებებია:
 - ა) (A) ფრიადი 91-100 ქულა;
 - ბ) (B) ძალიან კარგი 81-90 ქულა;
 - გ) (C) კარგი 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი 51-60 ქულა.

• უარყოფითი შეფასებები:

ვ) (Fx) ვერ ჩააბარა 41-50 ქულა;

ზ) (F) ჩაიჭრა 40-ზე ნაკლები ქულა;

12.3. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ მას სადისერტაციო კოლეგიის წევრთა უმრავლესობა აფასებს უარყოფითად; სადისერტაციო კოლეგიის წევრთა დასკვნების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო შეფასება -საშუალო არითმეტიკული;

12.4. 12.2 პუნქტის "ა"- "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღებისას, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

12.5. დისერტაციის დაცვაზე FX შეფასების (41-50 ქულა) მიღებისას, დოქტორანტს ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ენიჭება. (04.06.2010 №264)

12.6. 12.5 პუნქტში მითითებულმა დოქტორანტმა სტუდენტის სტატუსის გასაგრძელებლად დაცვიდან ერთი კვირის ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს; წინააღმდეგ შემთხვევაში დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი, ხოლო თუ მან უკვე ისარგებლა 5.17 პუნქტში მითითებული უფლებით, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. (№264, 04.06.2010)

12.7. დისერტაციის დაცვაზე F შეფასების (0-40 ქულა) ან განმეორებით FX შეფასების (41-50 ქულა) მიღებისას, დოქტორანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას; მას უწყდება სტუდენტის სტატუსი. (04.06.2010 №264)

12.8. სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარე დასაბუთებულ საბოლოო გადაწყვეტილებას აცნობს დისერტანტს და აუდიტორიას;

12.9. სადისერტაციო კოლეგიის მდივანი აფორმებს დისერტაციის დაცვის ოქმს, რაზედაც ხელს აწერს კოლეგიის ყველა წევრი.

12.10. სადისერტაციო კოლეგიის მდივანი ოქმს გადასცემს სადისერტაციო საბჭოს მდივანს, რომელიც ათი დღის ვადაში აფორმებს დისერტაციის ბანკ-ბარათს; გარდა ამისა, უზრუნველყოფს დისერტაციის ერთი ეგზემპლარის გადაცემას ეროვნული ბიბლიოთეკისათვის.

12.11. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ბანკ-ბარათი, აგრეთვე დამოწმებული სადისერტაციო კოლეგიის სხდომის ოქმი გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს;

12.12, ფაკულტეტის დეკანატი ამზადებს ბრძანების პროექტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების და შესაბამისი დიპლომის გაცემის შესახებ. აღნიშნული ბრძანების პროექტი დიპლომის დანართთან და დისერტაციის ბანკ-ბარათთან ერთად გადაეცემა სწავლების დეპარტამენტს, სადაც მოხდება ბანკ-ბარათის რეგისტრაცია სათანადო რეესტრში, ხოლო ბრძანების პროექტი და დიპლომის დანართი წარედგინება სტუ-ს რექტორს;

12.13. ბრძანების გამოცემიდან ორი კვირის ვადაში მოხდება დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება;

12.14. დისერტაციის დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს არქივში რჩება საატესტაციო საქმე, რომელშიც შედის:

- დოქტორანტის განცხადება, დადასტურებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზით დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
- დისერტაციის ავტორეფერატი;
- კადრების აღრიცხვის ფურცელი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა დისერტაციის შესახებ;
- დისერტაციის და ავტორეფერატების ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);

- დეკანის მიერ დამოწმებული ოქმების ასლები ორი სემინარის ჩატარების შესახებ;
 - სადისერტაციო თემის შესრულების ამსახველი მასალები - დოქტორანტის ავტორობით ან/და თანაავტორობით შესრულებული და 6.6-6.7 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, აგრეთვე მათი სია;
 - სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები და ნუსხა;
 - დისერტაციასთან დაკავშირებული გამოგონების/გამოგონებების (არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი/დოკუმენტები;
 - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი შეფასებების (ნიშნების) ფურცელი;
 - რეცენზენტების დასკვნები;
 - სადისერტაციო კოლეგიის სხდომის ოქმი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით;
 - დისერტაციის ბანკ-ბარათის ასლი, დამოწმებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით;
- 12.15. მყარ საქალაქო აკინძული დოკუმენტაცია საბჭოში ინახება ოთხი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა ფაკულტეტის არქივს.

13. ბათილობა

13.1. სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა ან პლაგიატი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის გაუცემლობის ან ჩამორთმევის საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

14. დოქტორანტურა პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით (22.01.2010 №196)

14.1. სტუ უფლებამოსილია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

14.2. სტუ უფლებამოსილია ერთ ან რამდენიმე საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივად განახორციელოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

14.3. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით წესრიგდება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

14.4. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობისას დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს 14.3 პუნქტის შესაბამისად ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოქტორანტურაში მიღების პირობებს.

14.5. სტუ-ს დოქტორანტობის მსურველი პირის განცხადებას, ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა თემის თანახემ-ძღვანელობაზე;

14.6. პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობისას დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ სტუ-ს პროფესორმა და პარტნიორი დაწესებულების პროფესორმა ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო პერსონალმა.

15. მობილობა დოქტორანტურაში (22.01.2010 №196)

15.1. მობილობის უფლება დოქტორანტს ეძლევა სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ, სემესტრის დაწყებამდე, წელიწადში ორჯერ.

15.2. მობილობის უფლება დოქტორანტს აქვს მხოლოდ იმავე ან მონათესავე სადოქტორო პროგრამაზე;

15.3. სტუ-ს დოქტორანტურაში სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით გადმოსვლისას, დოქტორანტი სტუ-ს რექტორს მიმართავს შესაბამისი განცხადებით, რასაც თან დაურთავს თავის აკადემიურ ცნობას; რექტორის მიერ განცხადებაზე რეზოლუციის დადების შემდეგ, სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას და ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას ადგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისია, რომელშიც უნდა შედიოდნენ დეკანატისა და სადისერტაციო საბჭოს წარმომადგენლები, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, მიმართულების ხელმძღვანელი და თემის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი; თუ დოქტორანტი ეთანხმება კომისიის დასკვნას, იგი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით მიმართავს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც ირიცხება;

15.4. აღნიშნულმა პირმა სადისერტაციო საბჭოში უნდა წარადგინოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ამონაწერი, საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა, აგრეთვე სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია;

15.5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნულ საბუთებს, შესაბამის მოხსენებით ბარათთან ერთად, წარუდგენს სწავლების დეპარტამენტს;

15.6. სწავლების დეპარტამენტი ახდენს ამ საბუთების რეგისტრაციას და მათ გადასცემს აკადემიურ საბჭოს სადისერტაციო თემის და თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასამტკიცებლად.

15.7. აკადემიური საბჭო არსებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ამტკიცებს სადისერტაციო თემას, თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს;

15.8. სწავლების დეპარტამენტი ამზადებს ბრძანებას ჩარიცხვის შესახებ, უზრუნველყოფს მის განთავსებას სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე;

15.9. სტუ-ს სწავლების დეპარტამენტი ვალდებულია ბრძანების გამოცემიდან 1 კვირის ვადაში უზრუნველყოს მობილობით ჩარიცხული პირის ასახვა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთიან რეესტრში.

15.10. შიდა მობილობა ხორციელდება 15.1, 15.2, 15.5-15.9 პუნქტების შესაბამისად.

16. გარდამავალი დებულებები (22.01.2010 №196)

16.1. ყოფილ ასპირანტს/მაძიებელს, რომელსაც გასულ წლებში ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდა/გამოცდები (უცხოურ ენასა და სპეციალობაში), შეიძლება ჩაეთვალოს სპეცკურსად/სპეცკურსებად; ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან (ECTS) სადოქტორო პროგრამის თავსებადობის დადგენა ხდება “სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის” შესაბამისად;

16.2. ყოფილი ასპირანტისათვის/მაძიებლისათვის, რომელსაც გასულ წლებში შესრულებული აქვს შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული კვლევითი სამუშაო, ჩატარებული აქვს სემინარი/სემინარები, 6.6 და 6.7 პუნქტების შესაბამისად აქვს გამოქვეყნებული სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები, მონაწილეობა

აქვს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, ან/და გაფორმებული აქვს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი, შეიძლება მოხდეს მიღწეული შედეგების აღიარება სადოქტორო პროგრამის ECTS კრედიტებად; ამავე დროს, დისერტაციის დაცვაზე იგი დაშვებული იქნება სტუ-ს დოქტორანტურაში ჩარიცხვის შემდეგ არანაკლებ 15 კრედიტის შესაბამისი კვლევითი სამუშაოს შესრულების და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მეორე სემინარის (15 კრედიტი) მომზადებისა და დაცვის შემდეგ.

16.3. 16.1 და 16.2 პუნქტებში მითითებული კომპონენტების აღიარებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი კომისია, რომელშიც უნდა შედიოდეს დეკანატის და სადისერტაციო საბჭოს წარმომადგენლები, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, მიმართულების და თემის სამეცნიერო ხელმძღვანელები.

16.4. 16.1-16.3 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურების განხორციელების საბოლოო ვადაა 2010-2011 სასწავლო წელი.

17. დებულების ძალაში შესვლა

17.1. ეს დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

საფუძველი: საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;

”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანება ”უმაღლესი საგანმანათ-
ლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამ-
ტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების
შეტანის თაობაზე”.

”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №106 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ”.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტი

დანართი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I კურსი		II კურსი		III კურსი		სულ, კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
1.		უცხოური ენის სპეცკურსი	10	5					15
2.		სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსი	10	5					15
3.		ლიტერატურის მიმოხილვა, აქტუალურობის დასაბუთება, ამოცანების ჩამოყალიბება	10	5					15
4.		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა		15	15	30	30	15	105
5.		თემატური სემინარი №1			15				30
6.		თემატური სემინარი №2					15		
7.		დისერტაციის დაცვა							-
ECTS		სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
კრედიტები		კურსზე	60		60		60		180